ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი.

დამკვეთი – შპს „ჩემი სახლი"-ს დამფუძნებელის – ჰუსეინ ნადიროვის წარმომადგენელი დავით ბოჭორიშვილი.

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №5.

(ს.კ: 01.14.06.006.079; 01.14.06.006.084; 01.14.06.006.085)

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

კომპლექსის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

მშენებლობის ტიპი – ახალი მშენებლობა.

დასაპროექტებელ კომპლექსში შედის 15 და 18 სართულიანი 8 საცხოვრებელი სახლი, ნოლსქვეშა 1-2 სართულით. აღნიშნული კორპუსები პირობითად დანომრილია №№ I÷VIII. ასევე №VII კორპუსის გარშემო დასაპროექტებელია სამსართულიანი შენობა.

პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნულები მიბმულ იქნება ადგილმდებარეობის რელიეფთან და დადგინდება მოგვიანებით. სარდაფის იატაკის მაქსიმალური ჩაღრმავება -6,0 მ-ით ნულოვანი ნიშნულიდან.

საძირკვლების ტიპი და ჩაღრმავება დამოკიდებული იქნება უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ რკინაბეტონის ფილა ან ხიმინჯოვანი.

მაქსიმალური დატვირთვები საძირკველზე – 280 – 350 კნ/მ^2 (28 – 35 ტძ/მ^2), 7500-9000 კნ (750-900 ტძ) საყრდენზე.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული: 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე;

2 ეგზემპლარად რუსულ ენაზე და

ელვერსიაში.

დანართი: ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში დასაპროექტებელი შენობების კონტურების დატანით.

დავალება გასცა დ. ბოჭორიშვილი

პროგრამა

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №5-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

წინამდებარე პროგრამა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) პ.პ. 1.19, 1,21, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.02-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნათა საფუძველზე.

ჩასატარებული კვლევის მიზანი:

ა) საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა;

ბ) დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების პირობების გარკვევა.

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №5-ში.

დასაპროექტებელი შენობების ტექნიკური დახასიათება მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (ერთვის დასკვნას).

სამშენებლო ტერიტორია ამჟამად თავისუფალია შენობა-ნაგებობებისგან.

სამშენებლო ტერიტორია ჩრდილოეთიდან ისაზღვრება – ნაფეტვრებისკენ მიმავალი სამანქანო გზით;

სამხრეთიდან – მდ. ვერეს ღრმა ხეობით;

აღმოსავლეთიდან – უნივერსიტეტის ქუჩით;

დასავლეთიდან – მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიით;

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება II–III კატეგორიას (საშუალო და რთული).

2014 წელს, აღნიშნული ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესაფასებლად ჩატარებულია წინასწარი კვლევა, რომლის მასალები ინახება განყოფილების არქივში და გამოყენებულია წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, დასაპროექტებელი კორპუსების განთავსების ადგილებში გაიბურღოს 45 ჭაბურღილი (სავარაუდო სიღრმით 12,0–30,0 მ).

ბურღვა ჩატარდეს თვითმავალი საბურღი დაზგით „უგბ-1ვს“ და „ურბ 2A×2", მექანიკური-სვეტური მეთოდით (d=160 მმ-მდე), მშრალი წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებიდან, ლაბორატორიული კვლევისთვის, აღებულ იქნეს გრუნტების დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები, სნ და წ 1.02.07-87-ის პ.3.75-ში რეგლამენტირებული რაოდენობით.

მიწისქვეშა წყლის გამოვლინების შემთხვევაში, აღებული იქნეს მისი სინჯები ლაბორატორიული ანალიზებისთვის.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში (დასკვნა), სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად და აიკინძოს 2–2 ეგზემპლარად ქართულ და რუსულ ენაზე. შესრულდეს კვლევის მასალის ელექტრონული ვერსია.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი ზ. კვაჭანტირაძე

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №5-ში სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები

თავი I შესავალი

შპს „ჩემი სახლი”-ს დამფუძნებლის ჰუსეინ ნადიროვის წარმომადგენლის – დავით ბოჭორიშვილის დაკვეთით (ხელშ.№94/2015), შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2015 წ აპრილში, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №5-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა:

– სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება;

– დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

სამშენებლო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მრავალსართულიანი (15–18 სართული) საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ნოლსქვეშა 1-2 სართულით.

ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობები (ბურღვითი, საველე ლაბორატორიული) განისაზღვრა დამკვეთთან შეთანხმებით და ასახულია პროგრამაში (ერთვის წინამდებარე დასკვნას).

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილებში, გაიბურღა 45 ჭაბურღილი (ჭაბ. №№1÷45), სიღრმით 12 მ-დან 29 მ-მდე. სულ შესრულებული ბურღვითი სამუშაოს მთლიანი მოცულობა 846 გრძ. მეტრია. ბურღვა ჩატარდა თვითმავალი საბურღი დანადგარით „ურბ 2A×2“ და „უგბ 1-ვს", მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

უბნის ამგები გრუნტების ლაბორატორიული შესწავლისთვის აღებულია:

– თიხოვანი გრუნტებიდან – დაურღვეველი სტრუქტურის 10 ნიმუში, აქედან 8 ნიმუში ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხნარებიდან (ფენა 2) და 2 ნიმუში ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხებიდან (ფენა 2^{l});

– მსხვილნატეხოვანი გრუნტებიდან – დარღვეული სტრუქტურის 8 ნიმუში (ფენა 3), სიღრმის მოცემული ინტერვალებისთვის კერნის მთლიანი გამოსავლის მიხედვით;

– ძირითადი ქანებიდან (არგილითები, ქვიშაქვები) – დარღვეული სტრუქტურის 10 ნიმუში ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანებიდან (ფენა 4) და დაურღვეველი სტრუქტურის 10 ნიმუში გამოფიტული ძირითადი ქანებიდან (ფენა 5). ნიმუშების აღების კონკრეტული სიღრმეები (ინტერვალები) მოცემულია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიურ სვეტებზე.

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზებისთვის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების დასადგენად, აღებულია 9 სინჯი.

თიხოვანი და მსხვილნატეხოვანი გრუნტების ლაბორატორიული კვლევები და წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები, აგრეთვე წყლოვანი გამონაჟურის ქიმიური ანალიზები (მათ შორის არგილითების) ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

ძირითადი ქანების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების შესწავლა ჩატარდა სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების თვისებებისა და მასივში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კვლევის ლაბორატორიაში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, რომელზეც დატანილია დასაპროექტებელი შენობების კონტურები.

საველე სამუშაოები ჩატარდა განყოფილების ინჟინერ-გეოლოგების ალ. პასიკაშვილის, მ. ყიფშიძის და წამყვანი სპეციალისტის მ. მამუკაშვილის ხელმძღვანელობით.

თავი II- უბნის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, საზღვრები, კლიმატური პირობები, გეომორფოლოგია, ზოგადი გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგია)

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №5-ში, რომლის საზღვრებია:

დასავლეთიდან – მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორია;

ჩრდილოეთიდან – ნაფეტვრებისკენ მიმავალი სამანქანო გზა;

სამხრეთიდან – მდ. ვერეს ღრმა ხეობა;

აღმოსავლეთიდან – უნივერსიტეტის ქუჩა.

მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორია, ამჟამად, თავისუფალია შენობა-ნაგებობებისგან.

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონისთვის ძირითადი კლიმატური მონაცემები შემდეგია (Სნ 01.05-08 „სამშენებლო კლიმატოლოგია“):

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – W_o=0,85 კპა;

ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;

ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის;

აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – -23°C;

აბსოლუტური მაქსიმუმი – +40°C;

ნალექების რაოდენობა წელიწადში – 560 მმ;

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია მდ. ვერეს ხეობის მარცხენა ბორტის ფარგლებშია მოქცეული, რომელიც სამხრეთისკენ ციცაბოდ ეშვება მდინარისკენ. მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის რელიეფი ტექნოგენურია – მოსწორებულია ნაყარი გრუნტით, რომლის აბსოლუტური ნიშნულები სამშენებლო მოედნის საზღვრებში მერყეობენ 545,00–551,60 მ-ის ფარგლებში.

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში, მონაწილეობენ ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები, წარმოდგენილი არგილითებით, თიხოვანი ქვიშაქვების შუაშრეებით და მათი მფარავი მეოთხეული გრუნტებით (ტექნოგენური, თიხოვანი, მსხვილნატეხოვანი).

ზედა ეოცენის ძირითადი ქანების სიმძლავრე გეოლოგიური საფონდო მონაცემებით, ქალაქის ფარგლებში და მის შემოგარენში, აღემატება 1000 მ-ს.

ზედა ეოცენის ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია: დაქანების აზიმუტი – ჩრდილოეთური, შრეების დახრის კუთხე – 38-42°.

საკვლევი ტერიტორია ხასიათდება მიწისქვეშა წყლების არსებობით, რომელთა გავრცელება ვლინდება მეოთხეულ ნალექებსა და ძირითად ქანებში. მიწისქვეშა წყლები (გრუნტის, ნაპრალოვანი) იკვებება ატმოსფერული წყლების (ზემოდან) და ნაპრალოვანი (ქვემოდან) წყლების ხარჯზე.

შემადგენელი ქიმიური კომპონენტების მიხედვით მიწისქვეშა წყლები სუსტად მინერალიზებულია და უპირატესად ხასიათდებიან სხვადასხვა ხარისხის სულფატური აგრესიულობით.

თავი III- ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

III-1. გეოლოგიური აგებულება

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მონაცემების მიხედვით, შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

ჩატარებული ბურღვითი სამუშაოების მიხედვით, სამშენებლო მოედანზე, გენეზისის მიხედვით, გამოიყო გრუნტის 3 ტიპი (6 ფენა) – ფენები 1, 2, 2l, 3, 4 და 5:

– ტექნოგენური გრუნტი (tQIV, ფენა 1) – ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან 0,60–16,20 მ-ის სიღრმემდეა გავრცელებული და წარმოდგენილია თიხნარის, კენჭების, ღორღის და სამშენებლო ნაგვის ნარევით. ნაყარი გრუნტის ასაკი აღემატება 30 წელს და კონსოლიდირებულია;

– დელუვიური თიხოვანი გრუნტი (თიხნარი, dQIV, ფენა 2) – ტერიტორიაზე გავრცელებულია №№40, 42, 43 და 44 ჭაბურღილებში, ნაყარ გრუნტსა და ძირითად ქანებს შორის, ხოლო №№39 და 41 ჭაბურღილებში გავრცელებულია ნაყარ გრუნტსა და მსხვილნატეხოვან გრუნტს შორის და წარმოდგენილია თაბაშირიანი, ნახევრადმყარი კონსისტენციის ყავისფერი თიხნარებით, სიმძლავრით 0,90-2,30 მ;

– დელუვიური თიხოვანი გრუნტი (თიხა, dQIV, ფენა 2l) – ტერიტორიაზე გავრცელებულია მხოლოდ ჭაბ №32-ში, მსხვილნატეხოვან გრუნტსა და ძირითად ქანებს შორის და წარმოდგენილია ძნელპლასტიკური კონსისტენციის ყავისფერი თიხით;

– პროლუვიურ-დელუვიური მსხვილნატეხოვანი გრუნტი (dpQIV, ფენა 3), ტერიტორიაზე გავრცელებულია ყველა ჭაბურღილში, გარდა №№1, 2, 3, 5, 7, 8, 9 და 10-ისა. აღნიშნული გრუნტი წარმოდგენილია 0,30–12,30 მ-ის სიმძლავრის ღორღოვანი გრუნტით. ფენაში არაიშვიათად აღინიშნება უხეშად დამუშავებული კენჭების და კენჭნაროვანი გრუნტის შუაშრეები, თიხნარ-ქვიშნარის და ქვიშის შემავსებლით 20-30% მდე. კენჭნაროვანი შუაშრეები ზოგან შეცემენტებულია და წარმოდგენილია სუსტი კონგლომერატის სახით (5-10 სმ), ალაგ-ალაგ აღინიშნება ძნელპლასტიკური-რბილპლასტიკური კონსისტენციის ყავისფერი თიხის (0,30–1,00 მ) იშვიათი შუაშრეებიც;

– ზედა ეოცენის ძირითადი ქანები (P_2^3, ფენა 4) – წარმოდგენილია ძირითადად არგილითებით, ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით და ვრცელდება 0,60–18,50 მ-ის სიღრმიდან.

გაყვანილი ჭაბურღილების მიხედვით ძირითადი ქანების მასივში უპირატესი გავრცელებით სარგებლობს არგილითები (70-80%).

ძირითადი ქანები, ეროზიული ზედაპირიდან 7,70÷25,0 მ სიღრმემდე, ძლიერ გამოფიტულია – დანაწევრებულ–დაშლილია ფიზიკური გამოფიტვის მრავალრიცხოვანი ურთიერთგამკვეთი ნაპრალებით (ქანის მთლიანობა დარღვეულია – კერნი საბურღი მილიდან გამოდის დაშლილი), თუმცა შენარჩუნებული აქვს მთავარი ტექსტურული ნიშანი – შრეობრიობა. ძლიერ გამოფიტულ ზონაში აღინიშნება შედარებით მტკიცე და შესუსტებული ზონები, გავრცელებული შესაბამისად, ქვიშაქვების და არგილითების სიჭარბის ადგილებში (ქვიშაქვები შედარებით უფრო მედეგია გამოფიტვის აგენტებზე, ვიდრე არგილითები).

გეოლოგიურ ჭრილებზე, ძლიერ გამოფიტული ზონა გამოყოფილია ცალკე ფენად (ფენა 4).

ეროზიული ზედაპირიდან 7,70÷25,0 მ-ის ქვემოთ, ძირითადი ქანები შედარებით საღია, დამახასიათებელი მოლურჯო-რუხი შეფერილობით (ფენა 5), ნაპრალები ძირითადად ორიენტირებულია დაშრევების სიბრტყეზე და ქანის მთლიანობა არ არის დარღვეული, თუმცა როგორც ძლიერ გამოფიტულ ფენაში, აქაც აღინიშნება შედარებით მტკიცე და შესუსტებული ზონები. ძირითადი ქანის ეს ზონა შეიძლება დახასიათდეს როგორც გამოფიტული.

ძირითად ქანებში არგილითები გავრცელებულია თხელი შრეების (1–3 სმ) სახით, ხოლო ქვიშაქვები საშუალო და სქელშრეებრივია (10–30 სმ).

ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია: დაქანების აზიმუტი – ჩრდილოეთური, შრეების დახრის კუთხე 38–42°.

გეოლოგიურ ჭრილებზე ძირითადი ქანების დახრა მოცემულია წოლის ელემენტებით – შრის მიმართების აზიმუტის და ჭრილის ხაზების გადაკვეთის კუთხის მიხედვით სათანადოდ შესწორებული კუთხეებით (გამოყენებულია ობრუჩევის კუთხეების შემასწორებელი ცხრილი).

III-2. უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობები

უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების განხილვისას, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

მიწისქვეშა წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 6,3–17,6 მ სიღრმის ფარგლებში, მსხვილნატეხოვან გრუნტსა და ძირითად ქანებში. მიწიქვეშა წყლის ცირკულაცია დაკავშირებულია ძირითადი ქანების გამოფიტულ ზონასთან და მიეკუთვნება ნაპრალოვანი ტიპის წყლებს.

გაბურღვის შემდეგ წყლის დონემ ამოიწია და დამყარდა 5,5–17,1 მ-ის ფარგლებში.

გენეტიკურად მიწისქვეშა წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრატს.

მიწისქვეშა წყლის დონის ცვალებადობაზე მრავალწლიანი რეჟიმული დაკვირვებები არ არსებობს. საორიენტაციოდ, მაქსიმალურ საპროგნოზო დონედ შეიძლება მიღებულ იქნეს +0,5 მ, კვლევის დროს დაფიქსირებულ დამყარების დონესთან შედარებით.

მოკლე რეზიუმეს სახით შეიძლება აღინიშნოს:

ვინაიდან მიწისქვეშა წყლები ძირითადად ნაპრალოვანია, მისი გამოვლენა მაქსიმალური დებიტით მოსალოდნელია ძირითადი ქანების მასივის ზედა ძლიერ გამოფიტულ ზონაში (ფენა 4).

თავი IV- ბრუნტების და ბრუნტის წყლის ლაბორატორიული შესწავლის შედეგები

IV-1. ბრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც დასკვნის შესავალში აღინიშნა, ჭაბურღილებიდან აღებული იყო დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის 38 ნიმუში, აქედან:

– 8 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტიდან;

– 2 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა 2ა-ის თიხოვანი გრუნტიდან;

– 8 დარღვეული სტრუქტურის ნიმუში – ფენა 3-ის მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან;

– 10 დარღვეული სტრუქტურის ნიმუში – ფენა 4-ის ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანიდან;

– 10 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა 5-ის გამოფიტული ძირითადი ქანიდან.

თიხოვანი გრუნტებისთვის (ფენები 2 და 2ļ) განისაზღვრა ფიზიკური პარამეტრების სრული კომპლექსი, მსხვილნატეხოვანი გრუნტისთვის (ფენა 3) განისაზღვრა გრანულომეტრიული შემადგენლობა და შემავსებლის მოკლე ფიზიკური კომპლექსი. თიხოვან, მსხვილნატეხოვან გრუნტებზე და ძლიერ გამოფიტულ ძირითად ქანებზე ჩატარდა წყლოვანი გამონაჟურის ქიმიური ანალიზები და განისაზღვრა დამარილიანების ხარისხი. ანალიზების შედეგები მოცემულია კრებსით ცხრილში, რომლის თანახმად, ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების ჯამური შემცველობა გრუნტებში შეადგენს:

– ფენა 2-ის თიხნარებში 6,1–7,7%%>5%-ს და მიეკუთვნება დამარილიანებულის კატეგორიას (სულფატური დამარილიანება);

– ფენა 3-ის მსხვილნატეხოვანი გრუნტში, სადაც შემავსებელი წარმოდგენილია თიხნარის, ქვიშნარის და ქვიშის სახით (თხელი შრეების არაკანონზომიერი მორიგეობა) – 2,2–3,0%%>2%-ს და მიეკუთვნება დამარილიანებულის კატეგორიას (სულფატური დამარილიანება).

– ძლიერ გამოფიტულ ძირითად ქანებში (არგილითი) – 2,2–4,5%>2%-ს და მიეკუთვნება დამარილიანებულის კატეგორიას (სულფატური დამარილიანება).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მსხვილნატეხოვან გრუნტზე განისაზღვრა გრანულომეტრიული შედგენილობა და შემავსებლის მოკლე ფიზიკური კომპლექსი.

მსხვილნატეხოვან გრუნტში ჭარბობს ღორღოვანი გრუნტი 20-80 მმ-მდე. 8 განსაზღვრიდან 4 შემთხვევაში შემავსებელი მყარი კონსისტენციის ქვიშნარია, 2 შემთხვევაში მყარი კონსისტენციის თიხნარი და 2 შემთხვევაში – ქვიშა (20,9–27,5%).

ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ, ცხრ. 1-ში მოცემულია თიხოვანი გრუნტების (ფენები 2 და 2ļ) ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და მათი შესაბამისი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები:

ცხრილი 1

№ №	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი		საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა	
					ფენა 2	ფენა 2l	ფენა 2	ფენა 2l
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,11–0,17	0,18–0,22	0,14	0,20
2	ტენიანობა		W	%	18,0–22,5	23,5–26,2	20,0	24,8
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,77–1,88	1,89–1,91	1,84	1,90
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,48–1,59	1,51–1,53	1,53	1,52
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,70	2,72	2,70	2,72
4	ფორიანობა		n	%	41,0–45,3	43,7–44,4	43,3	44,0
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,695–0,829	0,777–0,797	0,766	0,787
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,01–0,25	0,31–0,33	0,12	0,32
7	ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,65–0,79	0,82–0,89	0,71	0,85

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ფენა 2 – არასრულად წყალგაჯერებულ ($\overline{S_r}$ =0,71<0,80) ნახევრადმყარი კონსისტენციის ($\overline{I_L}$ =0,12) თიხნარს ($\overline{Ip}$ =0,14).

ფენა 2l – სრულად წყალგაჯერებულ ($\overline{S_r}$ =0,85>0,80) ძნელპლასტიკური კონსისტენციის ($\overline{I_L}$ =0,32) თიხას ($\overline{Ip}$ =0,20).

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები, საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშოდ.

ლაბორატორიული კვლევები შესრულდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. კვლევის შედეგები ასახულია კრებსით ცხრილში (ერთვის დასკვნას).

ფენა 4 და 5-ის ძირითადი ქანებისთვის განისაზღვრა:

– სიმტკიცის ზღვრები მშრალ და წყალნაჯერ მდგომარეობაში;

– სიმკვრივე;

– დრეკადობის (იუნგის) მოდული;

აქვე, შენიშვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ არგილითების ტექსტურული თავისებურების გამო (თხელშრეულობა), საჭირო ზომის ნიმუშების აღება ვერ ხერხდება და ლაბორატორიული კვლევები შესრულებულია არაპირდაპირი გზით – სფერული ინდენტორების საშუალებით.

ლაბორატორიული გამოცდები შესრულდა სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების თვისებების და მასივში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კვლევის ლაბორატორიაში.

ცდების შედეგები მოცემულია ქვემოთ, ცხრ. 2-ში

ცხრილი 2

№№	გრუნტის დასახელება	ჭაბ. №№	ნიმუშის ალების სიღრმე		სიმკვრივე ρ გ/სმ³		სიმტკიცე R_c მპა				დრეკადობის (იუნგის) მოდული $E_დ$ მპა	
							მშრალი მდგომარეობა		წყალნაჯერი მდგომარეობა			
			ფენა 4	ფენა 5	ფენა 4	ფენა 5	ფენა 4	ფენა 5	ფენა 4	ფენა 5	ფენა 4	ფენა 5
1	არგილითი	3	3,5	8,5	2.21	2,31	2.8	3,8	1.4	2,1	426.5	859,7
2		3	6,0	–	2.25	–	3.5	–	1.7	–	–	–
3		16	7,0	11,5	2.18	2,38	2.7	6,1	1.3	3,5	356.7	1019,4
4		16	9,0	–	2.23	–	3.0	–	1.6	–	–	–
5		26	19,0	22,2	2.26	2,41	3.2	9,0	1.7	5,2	323.6	1855,7
6		26	21,0	–	2.17	–	3.1	–	1.3	–	–	–
7		32	12,0	16,5	2.15	2,39	2.6	7,7	1.1	4,4	298.2	1228,9
8		32	14,5	–	2.24	–	3.7	–	1.4	–	–	–
9		44	5,5	10,6	2.19	2,36	3.3	5,2	1.2	2,9	312.1	886,2
10		44	8,0	–	2.25	–	2.9	–	1.3	–	–	–
საშუალო სიდიდეები					2.21	2,37	3.1	6,4	1.4	3,62	343.4	1170,0
11	ქვიშაქვა	3	–	12,6	–	2,42	–	16,8	–	10,1	–	2122,6
12		16	–	14,7	–	2,44	–	19,2	–	11,5	–	2344,5
13		26	–	24,5	–	2,47	–	23,2	–	14,4	–	3013,0
14		32	–	18,2	–	2,45	–	21,1	–	13,1	–	2464,5
15		44	–	13,5	–	2,48	–	20,0	–	12,2	–	2342,4
საშუალო სიდიდეები					–	2,45	–	20,0	–	12,3	–	2457,4

ცხრილში მოცემული მნიშვნელობების მიხედვით, პნ 02.01-08 საკლასიფიკაციო ცხრილის თანახმად, გრუნტები განისაზღვრა:

– არგილითი (ფენა 4) – ნახევრადკლდოვანი გრუნტი, სიმტკიცის ზღვრით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $\overline{R}_c$=1,4 მპა (14 კგძ/სმ²); $\overline{\rho}$=2,21 გ/სმ³, დრეკადობის მოდული $E_დ$=343,4 მპა.

– არგილითი (ფენა 5) – ნახევრადკლდოვანი გრუნტი, სიმტკიცის ზღვრით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $\overline{R}_c$=3,62 მპა (36,2 კგძ/სმ²); $\overline{\rho}$=2,37 გ/სმ³, დრეკადობის მოდული $E_დ$=1170,0 მპა.

– ქვიშაქვა (ფენა 5) – მცირე სიმტკიცის კლდოვანი გრუნტი, სიმტკიცის ზღვრით $\overline{R}_c$=12,3 მპა (123 კგძ/სმ²) ; $\overline{\rho}$=2,45 გ/სმ³, დრეკადობის მოდული $E_დ$=2457,4 მპა.

ვინაიდან ფენა 5-ის ძირითადი ქანის მასივი წარმოდგენილია არგილითების უპირატესი გავრცელებით (70-80%), სიმტკიცის ზღვრის ნორმატიულ

მნიშვნელობად (ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას) შეიძლება რეკომენდებულ იქნეს სიმტკიცის მნიშვნელობა მასივში პროცენტული შემცველობის მიხედვით:

$$R_{c,n} = 0{,}80R_{c\text{არგ.}} + 0{,}20R_{c\text{ქვიშ.}} = 29 + 24{,}6 = 53{,}6 \text{ კგძ/სმ}^2 \text{ (5,36 მპა).}$$

IV-2. ბრუნტი წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები

უბანზე გავრცელებული მიწისქვეშა წყლები დახასიათებულია 9 სინჯის ქიმიური ანალიზებით (აღებულია ჭაბ.№№.3, 4, 8, 15, 21, 23, 26, 32 და 38).

წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები მოცემულია წყლის სტანდარტული ანალიზების ბლანკებზე და ერთვის დასკვნას.

შემადგენელი ქიმიური კომპონენტების მიხედვით, მიწისქვეშა წყალი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-ქლორიანი ტიპის წყლებს. მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი) 933,4–4101,1 მგ/ლ ფარგლებშია. აღინიშნება მხოლოდ განსხვავება საერთო სიხისტის მიხედვით – ჭაბ№№32 და 38-დან აღებული წყლის ნიმუშებისთვის საერთო სიხისტეა 7,9–8,5 მგ/ექვ, დანარჩენი ჭაბურღილებიდან აღებული წყლის ნიმუშებისთვის – 22,6–27,3 მგ/ექვ.

გამოკვლეული წყალი-გარემო დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონების მიმართ ამჟღავნებენ შემდეგ თვისებებს:

– ჭაბ.№№3, 4 და 8-ის უბანზე:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:
   1. პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178-76) გამოყენებისას:
      ა) ძლიერ აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ;
      ბ) საშუალოდ აგრესიულია W_6 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ;
      გ) არააგრესიულია W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, C_3A+C_4AF არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და, აგრეთვე, სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4–W_6–W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) სუსტად აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

– ჭაბ.№№15 და 21-ის უბანზე:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

1. პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178-76) გამოყენებისას:

ა) სუსტად აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ;

ბ) არააგრესიულია W_6–W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, C_3A+C_4AF არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და, აგრეთვე, სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4–W_6–W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) სუსტად აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

– ჭაბ.№№23 და 26-ის უბანზე:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

1. პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178-76) გამოყენებისას:

ა) საშუალოდ აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ;

ბ) სუსტად აგრესიულია W_6 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ;

გ) არააგრესიულია W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, C_3A+C_4AF არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და, აგრეთვე, სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4–W_6–W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) სუსტად აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

– ჭაბ.№№32 და 38-ის უბანზე:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

1. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი), პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, C_3A+C_4AF არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და, აგრეთვე, სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4–W_6–W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) სუსტად აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

მიწისქვეშა წყლის სინჯების ლაბორატორიული ანალიზების შემდეგ, მოკლე დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ 9 ანალიზიდან 2 შემთხვევაში აღინიშნა წყლის არააგრესიულობა, დანარჩენ შემთხვევაში წყალი ამჟღავნებს სხვადასხვა ხარისხის სულფატურ აგრესიულობას (სუსტიდან ძლიერამდე). მხედველობაში იქნეს მიღებული უარესი პირობა – დასაპროექტებელი კომპლექსისთვის გათვალისწინდეს მიწისქვეშა წყლების სულფატური აგრესიულობა და წყლის ცირკულაციის ზონაში მოხვედრილი მიწისქვეშა კონსტრუქციები დაპროექტდეს სულფატმედეგი ცემენტების სახეებზე.

თავი–V. დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე, არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა), არ არის განვითარებული და არც მომავალშია მოსალოდნელი. ტერიტორიის სამხრეთი ზოლის სიახლოვე ციცაბო ფერდთან და ნაყარი გრუნტის სიმძლავრე (აღემატება 5 მ-ს), წარმოადგენენ არახელსაყრელ ფაქტორებს.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება II–III კატეგორიას (საშუალო და რთული).

2. ტერიტორიაზე გამოყოფილი გრუნტების ფენები წარმოადგენენ დამოუკიდებელ საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტებს **(სგე):**

   I სგე – ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტი (ფენა 1);

   II სგე – თიხნარი (ფენა 2);

   III სგე – თიხა (ფენა 2ა);

   IV სგე – მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენა 3);

   V სგე – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4);

   VI სგე – გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 5).

3. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან (სართულიანობა 15–18, ნოლსქვეშა 1-2 სართული) გამომდინარე, შენობების დაფუძნება შეიძლება განხორციელდეს:

– №№ I, III და IV კორპუსები – **V სბე**-ს გრუნტზე, რკინაბეტონის ფილის გამოყენებით, **VI სბე**-ს გრუნტზე ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯების გამოყენებით, ქანში შესვლით არანაკლები 0,5 მ-სა;

– №№ II, VII და V კორპუსები – **VI სბე**-ს გრუნტზე ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯების გამოყენებით, ქანში შესვლით არანაკლები 0,5 მ-სა;

– №VI კორპუსი – **IV სბე**-ს გრუნტზე რკინაბეტონის ფილის გამოყენებით, **VI სბე**-ს გრუნტზე ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯების გამოყენებით, ქანში შესვლით არანაკლები 0,5 მ-სა;

– №VIII კორპუსი – **V სბე**-ს გრუნტზე რკინაბეტონის ფილის გამოყენებით;

– №VII კორპუსის გარშემო დასაპროექტებელი სამსართულიანი შენობა – **IV სბე**-ს გრუნტზე ჩვეულებრივი – ლენტური ან ფილის საძირკვლების გამოყენებით;

შენიშვნა: 1. დაფუძნების ზემოთ მოცემული ვარიანტები ინჟინერ გეოლოგის რეკომენდაციაა და არანაირად ზღუდავს კონსტრუქტორს დაფუძნების კონკრეტული ვარიანტის შერჩევისას. დაფუძნების კონკრეტული ვარიანტი განისაზღვროს ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლების საფუძველზე.

2. საცხოვრებელ კომპლექსში შემავალი ცალკეული კორპუსების საძირკვლების ტიპების არჩევა დამოკიდებული იქნება კორპუსების ნულოვან ნიშნულებზე და ტექნიკურ პარამეტრებზე (მიწისქვეშა სართულები).

4. ფუძის ანგარიშისათვის, ქვემოთ, ცხრილ 3-ში მოცემულია ყველა აუცილებელი საანგარიშო მახასიათებელი ექვსივე **სბე**-ის გრუნტისთვის, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, ნორმატიული დოკუმენტების და საარქივო მასალების მონაცემების გამოყენებით.

გრუნტების საგების, პუასონის და ფილტრაციის კოეფიციენტების საანგარიშო მნიშვნელობები, აღებულია დამპროექტებლის „საანგარიშო თეორიული ცნობარიდან“ და „ტექნიკოს გეოლოგის ცნობარიდან“.

ცხრილი 3

№ №	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები					
		საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტის № (ფენის №)					
		I სბე (ფენა 1)	II სბე (ფენა 2)	III სბე (ფენა 2ა)	IV სბე (ფენა 3)	V სბე (ფენა 4)	VI სბე (ფენა 5)
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ^3	1,80	1.84	1,90	1,75	2,21	2,35

2	ხვედრითი შეჭიდულობა, c კპა (კგძ/სმ^2)	–	24 (0,24)	48 (0,48)	7 (0,07)	–	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	–	23	17	35	–	–
4	საერთო დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ^2)	10 (100)	16 (160)	17 (170)	40 (400)	–	–
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)	120 (1,2)	220 (2,2)	250 (2,5)	400 (4,0)	–	–
6	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c კპა (კგძ/სმ^2)	–	–	–	–	1400 (14,0)	5360 (53,6)
7	დრეკადობის მოდული $E_დ$ მპა (კგძ/სმ^2)	–	–	–	–	343,4	1427,0
8	საგების კოეფიციენტი k კგძ/სმ^3	1.5	2,5	3,0	7,0	20,0	60,0
9	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.35	0,35	0,42	0,27	0,25	0,20
10	ფილტრაციის კოეფიციენტი $k_ფ$ მ/დღ.ღ.	–	<0,01	<0,001	>0,1	<0,1	<0,1

შენიშვნა: ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას, ხიმინჯის ტანის შემომფენავი გრუნტების საგების კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობები აიღება სნ და წ 2.02.03-85-ის დანართი 1-ის რეკომენდაციების მიხედვით.

5. იმ შემთხვევაში, თუ დასაპროექტებელი შენობების მიწისქვეშა სართულები მოხვდება მიწისქვეშა წყლების გავრცელების ზონაში (დამოკიდებულია ნულოვანი ნიშნულის საბოლოო შერჩევაზე და ნოლსქვეშა სართულების რაოდენობაზე), აუცილებელი იქნება სათანადო ღონისძიებების დასახვა, სარდაფის სართულებში წყლის შეღწევისგან დასაცავად. ასეთ ღონისძიებებად შეიძლება განხილულ იქნეს:
   ა) შენობის ირგვლივ რგოლური დრენაჟის მოწყობა (ტერიტორიის რელიეფი ამის საშუალებას იძლევა – მდ. ვერე ჰიფსომეტრიულად 2-

3 ათეული მ-ით დაბლაა და ახლოს მდებარეობს მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიიდან);

ბ) შენობის სარდაფის ჰიდროიზოლაცია, ე. წ. „აბაზანის“ წესით – სარდაფის სართულების მოწყობა ისეთი წყალგაუმტარი ბეტონით, რომელიც გამორიცხავს წყლის შეღწევას სარდაფის სართულებში.

6. მიწისქვეშა სართულების, მიწისქვეშა წყლების გავრცელების ზონაში მოხვედრის შემთხვევაში, საჭირო გახდება წყლის ამოტუმბვა. ამოტუმბვის ჩატარებისას, წყლის შემოდინება ქვაბულის ყოველ $მ^2$-ზე მიღებულ იქნეს 0,01 ლ/წმ, რაც დაზუსტდეს ამოტუმბვის პროცესში.

7. გრუნტების დამარილიანების და მიწისქვეშა წყლების სულფატური აგრესიულობის გამო, მიწისქვეშა კონსტრუქციებში გამოყენებული იქნეს წყლის ქიმიური ანალიზის დასკვნაში მითითებული ცემენტის სახეები.

8. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი №1-ის მიხედვით, ტერიტორიის ამგები გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი (ფენა 1) – III კატეგორიას;

ბ) დანარჩენი ფენები (ფენა 2, 2^I, 3, 4 და 5) – II კატეგორიას.

ზოგიერთ უბანზე სეისმურად არახელსაყრელი გრუნტის (ფენა 1-ის ნაყარი) სიმძლავრე აღემატება 5 მ-ს და საანგარიშო სეისმურობა დაზუსტდეს გრუნტული პირობების მიხედვით.

შენიშვნა: დასაპროექტებელ კომპლექსში შემავალი ზოგიერთი შენობის სართულიანობა აღემატება პნ 01.01-09-ს ცხრ. 8-ში მოცემულ სართულიანობას და დაპროექტება უნდა წარიმართოს ამავე ცხრილის მე-4 შენიშვნის მოთხოვნის გათვალისწინებით.

9. ქვაბულების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01–87 პ.პ. 3.11, 3.12 და 3.15 და სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV-2-82-ის 1-1 ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – ყველა სახით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24ა);

ბ) თიხნარი (ფენა 2) – ყველა სახით დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1840 კგ/მ^3 (რიგ. №33^3);

გ) მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენა 3) – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – I ჯგუფს, ხელით და ბულდოზერით დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1750 კგ/მ^3 (რიგ. №6ა);

დ) ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4) – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – V ჯგუფს, ხელით დამუშავებისას – Vр ჯგუფს, სიმკვრივით 2210 კგ/მ^3 (რიგ. №3ა; 28ა);

11. ბურღვით-ნატენი დასაყრდნობი ხიმინჯების მოწყობისას, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდისა და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგრადობიდან გამომდინარე, მიღებული იქნეს სნ და წ IV–2–82 მე-4 კრებულის „ჭაბურღილები”, 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

ინჟინერ გეოლოგი  ალ. პასიკაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი  ზ. კვაჭანტირაძე

დ ა ს კ ვ ნ ა

წყლის სტანდარტული ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით

ლაბ. №№114-115

ჰიდროგეოლოგიური პირობები: წყალშემცავი გრუნტი №№32-38 ჭაბურღილების უბნებზე h_{32}=12.3 მ და h_{38}=5.6 მ სიღრმეებზე წარმოდგენილია გამოფიტული არგილიტებით.

ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$<0,1 მ/დღ

საპროექტო კონსტრუქციის მოკლე დახასიათება:
დასაპროექტებელი კონსტრუქცია რკინა - ბეტონის საძირკველი.

გამოკვლეული წყალი - გარემო:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

1. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი), პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, $C_3A + C_4AF$ არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და აგრეთვე სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას –
არააგრესიულია W_4-W_6-W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
ბ) სუსტად აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

ს ნ და წ 2.03. II - 85
„სამშენებლო ნაგებობათა დაცვა კოროზიისაგან”
(ცხ. №№5, 6, 7)

7 მაისი, 2015 წ. ანალიზი ჩაატარა ნ. სურგულაძე

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

დ ა ს კ ვ ნ ა

წყლის სტანდარტული ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით

ლაბ. №№116-117

ჰიდროგეოლოგიური პირობები: წყალშემცავი გრუნტი №№15-21 ჭაბურღილების უბნებზე h_{15}=5.6 მ და h_{21}=11.0 მ სიღრმეებზე წარმოდგენილია გამოფიტული არგილიტებით.

ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$<0,1 მ/დღ

საპროექტო კონსტრუქციის მოკლე დახასიათება:

დასაპროექტებელი კონსტრუქცია რკინა - ბეტონის საძირკველი.

გამოკვლეული წყალი - გარემო:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) გამოყენებისას:
   ა) სუსტად აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   ბ) არააგრესიულია W_6 - W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, $C_3A + C_4AF$ არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და აგრეთვე სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4-W_6-W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

ს ნ და წ 2.03. 11. 85
„სამშენებლო ნაგებობათა დაცვა კოროზიისაგან"
(ცხ. №№5, 6, 7)

7 მაისი, 2015 წ. ანალიზი ჩაატარა ნ. სურგულაძე

წამყვანი ინჟინერ-გეოლოგი დ. ახობაძე

დ ა ს კ ვ ნ ა

წყლის სტანდარტული ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით

ლაბ. №№140-141-142

ჰიდროგეოლოგიური პირობები: წყალშემცავი გრუნტი №№3-4-8 ჭაბურღილების უბნებზე h_3=6.6 მ, h_4=8.1 მ და h_8=9.8 მ სიღრმეებზე წარმოდგენილია გამოფიტული არგილიტებით.

ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$<0,1 მ/დღ

საპროექტო კონსტრუქციის მოკლე დახასიათება:

დასაპროექტებელი კონსტრუქცია რკინა - ბეტონის საძირკველი.

გამოკვლეული წყალი - გარემო:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) გამოყენებისას:
   ა) ძლიერ აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   ბ) საშუალოდ აგრესიულია W_6 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   გ) არააგრესიულია W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, $C_3A + C_4AF$ არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და აგრეთვე სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4-W_6-W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

ს ნ და წ 2.03. 11. 85
„სამშენებლო ნაგებობათა დაცვა კოროზიისაგან"
(ცხ. №№5, 6, 7)

7 მაისი, 2015 წ. ანალიზი ჩაატარა ნ. სურგულაძე

წამყვანი ინჟინერ-გეოლოგი დ. ახობაძე

დ ა ს კ ვ ნ ა

წყლის სტანდარტული ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით

ლაბ. №№166-167

ჰიდროგეოლოგიური პირობები: წყალშემცავი გრუნტი №№23-26 ჭაბურღილების უბნებზე h_{23}=7.9 მ და h_{26}=9.0 მ სიღრმეებზე წარმოდგენილია ღორღოვანი გრუნტებით.

ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$>0,1 მ/დღ

საპროექტო კონსტრუქციის მოკლე დახასიათება:

დასაპროექტებელი კონსტრუქცია რკინა - ბეტონის საძირკველი.

გამოკვლეული წყალი - გარემო:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) გამოყენებისას:
   ა) საშუალოდ აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   ბ) სუსტად აგრესიულია W_6 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   გ) არააგრესიულია W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, $C_3A + C_4AF$ არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და აგრეთვე სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4-W_6-W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

ს ნ და წ 2.03. 11. 85
„სამშენებლო ნაგებობათა დაცვა კოროზიისაგან"
(ცხ. №№5, 6, 7)

15 მაისი, 2015 წ. ანალიზი ჩაატარა ნ. სურგულაძე

წამყვანი ინჟინერ-გეოლოგი დ. ახობაძე



ს.კ: 01.14.06.006.079;
01.14.06.006.084;
01.14.06.006.085

ა ე რ ო ბ ი თ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი



თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი უნივერსიტეტის ქ. №5-ში სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია	შპს „ახალი საქართველოს პროექტი" ქ. თბილისი
გან.უფროსი	ს. სირაძე			
მთ.ტექნოლოგი	ზ. კვაჭანტირაძე			მასშტაბი
ინჟ.ტექნოლოგი	ალ. პასიკაშვილი			
ინჟ.ტექნოლოგი	მ. ბურდული			
			აეროგითი აღნიშვნები	ფურცელი 46 ფურცლები 46

I


Зонд N1
Зонд N2
Зонд N3


Зонд N4
Зонд N5
Зонд N6


Разрез 0-0 по линии 1 – 2 – 3
Разрез 0-0 по линии 4 – 5 – 6 – 11


Разрез 0-0 по линии 1 – 7 – 8 – 9


Разрез 0-0 по линии 2 – 3
Разрез 0-0 по линии 5 – 6


Скв. N7
Скв. N8


Скв. N9
Скв. N10

















IV


Δλλ. №17
Δλλ. №18
Δλλ. №19
1:100
1:100
1:100


Δλλ. №20
Δλλ. №21
Δλλ. №22
1:100
1:100
1:100


Δ ε ό ξ ε ι ς № 17 – 19 – 22
1:100 1:200
Δ ε ό ξ ε ι ς № 18 – 20 – 21
1:100 1:200


Δ ε ό ξ ε ι ς № VI – 20 – 19
1:100 1:200


Δ ε ό ξ ε ι ς № 18 – 17
1:100 1:200
Δ ε ό ξ ε ι ς № 21 – 22
1:100 1:200


Буд. №23
Буд. №24
1:100
1:100


Буд. №25
Буд. №26
1:100
1:100

Ⓥ


Буд. №24
1:200


Буд. №25
1:200


Буд. №23
1:200
Буд. №26
1:200

VI







































საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისში უნივერსიტეტის ქ.5-ში მრავალფუქციური საცხოვრელი კომპლესის მშენებლობისატვის გამოყოფი ტერიტორიაზე(ს.კ 01.14.06.006.079,01.14.06.006.084, 01.14.06.006.085) ჩატარებული გეოლოგიური კვლევის ანგარიშიზე

თანახმად გაფორმებულიხელშეკრულებისა ფ/პ ზურაბ ცომაიას (შემსრულებელი) და შპს "ჩემი სახლი" (დამკვეთი) შორის, შემსრულებელს დაევალა საექსპერტო დასკვნის მომზადება დამკვეთის მიერ გადმოცემულ მასალაზე. გადმოცემული კვლევის მასალებით ირკვევა, რომ ტერიტორიაზე ჩატარდა გეოლოგიური კვლევები,.თანახმად ტექნიკური დავალებისა და

პროგრამისა. აღნიშნული ანგარიში შედგება შემდეგი თავებისა :

1. შესავალი

მოცემულია ტექნიკური დავალება, რის მიხედვით შედგენილია გეოლოგიური კვლევის ანგარიში,აღწერილია ჩასატარებელი შამუშაოები და მოცულობები

2. კლიმატი

აღწერილია საკვლევი უბნის კლიმატური პირობები, სადაც მოცემულია ქარის სიმძლავრე, ჰაერის ტემპერატურა, წლის სხვადასხვა პერიოდისთვის , ტენიანობა, ნალექების რაოდენობა.(თანახმად სნ დს წ სამშენებლო კლიმატოლოგია).

3. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება

ამ თავში დეტალურად აღწერილია საკვლევი ტერიტორიის ტექტონიკური განლაგება (საქ.ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების მიხედვით), გეოლოგიური აგებულება ქანების დახასიათებით.

4. სეისმიკა

